ყარამან ფაღავა
Curriculum Vitae

მონაცემები შრომითი და სამეცნიერო საქმიანობის შესახებ

დავიბადე 1948 წლის 6 მაისს, თბილისში ექიმების ოჯახში.

მოქალაქეობა - საქართველო.

მყავს ცოლი და ორი შვილი.

განათლება:

1965 წელს დავამთავრე თბილისის 77-ე საშუალო სკოლა ოქროს მედლით.

1971 წელს დავამთავრე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი წარჩინებით.

1972 წელს გავიარე ინტერნატურა პედიატრიაში.

1974 წელს დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია.

1990 წელს დავიცავი სადოქტორო დისერტაცია (სსრკ მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის პედიატრიის ინსტიტუტში, მოსკოვში) [ნაშრომი შესრულდა თბილისში].

1992 წელს მომენიჭა პროფესორის წოდება (სსრკ განათლების სახელმწიფო კომიტეტის მიერ). გავლილი მაქვს დახელოვნებისა და კვალიფიკაციის კურსები რუსეთში (მოსკოვი, სანქტ-პეტერბურგი), ავსტრიაში (ნატერსი, ტიროლი), გერმანიაში (საარბრუკენი, გისენი, ფრანკფურტი, ბონი და ბერლინი), გაერთიანებულ სამეფოში (ოქსფორდი).

მინიჭებული მაქვს საექიმო საქმიანობის ლიცენზიები პედიატრიაში, ნეონატოლოგიაში, ბავშვთა რევმატოლოგიასა და ბავშვთა გასტროენტეროლოგიაში.

უცხო ენების ცოდნა: - რუსული (მშობლიური ენის დარად), ინგლისური (კარგად), გერმანული (კარგად), ფრანგული (დამწყების დონეზე).

სამუშაო გამოცდილება:

1971-1974 წ.წ. - ექიმი პედიატრი გარდაბნის რაიონის, რუსთავისა და თბილისის სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში.

1974 წლიდან დღემდე - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის (უნივერსიტეტის) ბავშვთა და მოზარდთა მედიცინის კათედრის (დეპარტამენტის) თანამშრომელი - უფროსი ლაბორანტიდან კათედრის გამგემდე, დამსახურებულ ემერიტუს პროფესორამდე.

ვარ თბილისსა და ბათუმში რიგი სამედიცინო დაწესებულებების ექიმი კონსულტანტი.

1996-1999 წლებში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის (უნივერსიტეტის) სამეცნიერო საბჭოს სწავლული მდივანი.

1999-2003 წ.წ. - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მთავარი პედიატრი.

1988-2013 წ.წ. - სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელი, დაწყებული უფროსი მეცნიერ თანამშრომლიდან წამყვან მეცნიერ თანამშრომლამდე,

ვხელმძღვანელობდი ახალი პრეპარატების კლინიკური აპრობაციის და ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობისა და განვითარების ლაბორატორიას.

ვუხელმძღვანელე ხუთ საგრანტო პროექტს (ამათგან 3 უცხოეთშია მოპოვებული).

ვასრულებ ა(ა)იპ ფონდი „სიჯანსაღის“ ხელმძღვანელის მოვალეობებს.

თანამშრომლობა სხვა სამეცნიერო დაწესებულებთან: საქართველოში - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბაქტერიოფაგის ინსტიტუტი, მორფოლოგიის ინსტიტუტი, პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი; **უცხოეთში** - ლოზანას უნივერსიტეტი (შვეიცარია), გენუის უნივერსიტეტი (იტალია), ობურნის უნივერსიტეტი (აშშ), ანტვერპენის უნივერსიტეტი (ბელგია), მოსკოვის გამალეას სახელობის იმუნოლოგიისა და მიკრობიოლოგიის ინსტიტუტი (რუსეთი), ქსიანის პედიატრიული კლინიკა (ჩინეთი).

სამეცნიერო ფორუმები: 50-ზე მეტ საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობა - როგორც წესი, ორგანიზატორის, სექციის თავმჯდომარის ან მომხსენებლის როლში. საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარისა ან პრეზიდენტის რანგში ჩავატარა 20-ზე მეტი სამეცნიერო კონფერენცია (ამათგან ოთხი საერთაშორისო).

ჟურნალების რედკოლეგიების წევრობა:

საქართველოს სამედიცინო სიახლეები, მოზარდთა მედიცინა (იტალია), თანამედროვე პედიატრია (უკრაინა), საქართველოს პედიატრი, საქართველოს ბიოსამედიცინო სიახლეები.

პედაგოგიური მოღვაწეობა: მაქვს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში 50 წლის პედაგოგიური სტაჟი. ვარ 4 სახელმძღვანელოს თანაავტორი. ჩემი ხელმძღვანელობით შესრულდა 26 დისერტაცია (3 - მეცნიერებათა დოქტორის, 14 - მეცნიერებათა კანდიდატის, 9 - დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად). 20-მდე დისერტაციის ოპონენტი (მათ შორის ორის აზერბაიჯანში). ვასრულებდი სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობებს. მეცნიერების პოპულარიზაციის მიზნით რეგულარულად გამოვდივარ ტელევიზიით, რადიოთი, ვკითხულობ ლექციებს და ვაქვეყნებ სტატიებს მას-მედიაში ბავშვთა და მოზარდთა განვითარებისა და ჯანმრთელობის შესახებ. უფროსკლასელებს ჩავუტარე ლექციების კურსი მეცნიერების მიღწევებზე (შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროექტის ფარგლებში). წაკითხული მაქვს ლექციები უცხოეთის უნივერსიტეტებში: სანქტ-პეტერბურგში, ინსბრუკში, ბონში, ბერლინში, საარბრუკენში, ოქსფორდში. ვარ მოზარდთა მედიცინაში ევროპის სასწავლო პროგრამის თანაავტორი (euteach.com).

პროფესიული და სამეცნიერო ორგანიზაციების წევრობა:

პედიატრთა ასოციაცია, კლინიკური კვლევების ორგანიზაცია - PRINTO (იტალია), მოზარდთა პრობლემატიკის სწავლების პროგრამის ევროპული ჯგუფი EUTEACH (შვეიცარია), ანტიბიოტიკების გამოყენების შემსწავლელი ქსელი - ARPEC, იშვიათი და არადიაგნოცირებული დაავადებებისადმი მიძღვნილი ქსელები - ICORD, EPIRARE, UDNI, მოზარდების, სკოლის მოწაფეების ჯანმრთელობის შემსწავლელი ქსელი - HBSC, პირველადი იმუნოდეფიციტების შემსწავლელი ასოციაცია - J-PROJECT.

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ფორმალური მაჩვენებლები:

პუბლიკაციების რიცხვი - 500-მდე, ამათგან 6 მონოგრაფია.

ციტირების ინდექსი აღემატება 3500-ს.

ჰირშის ინდექსი უდრის - 16-ს, ი-ინდექსი - 23-ს (scholar.google.com-ის მიხედვით).

ჩემი რედაქტორობით გამოქვეყნდა სამეცნიერო შრომათა 15 კრებული (აქედან 6 საერთაშორისო).

ჯილდოები და წარჩინებები.

მიღებული მაქვს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წლის საუკეთესო პედაგოგის პრემია, ევროპის პედიატრიული განათლების ასოციაციის წლიური პრემია საუკეთესო მოხსენებისთვის. დაჯილდოებული ვარ ღირსების ორდენით, საზოგადოება „ცოდნის“ ილია ჭავჭავაძის სახელობის მედლითა და პრემიით.